



საქართველოს დიალიზის,
ნეფროლოგიისა და თირკმლის
ტრანსპლანტაციის კავშირი

თირკმელი და თირკმლების ქრონიკული უკმარისობა

ინფორმაცია პაციენტებისათვის




უოფთან - ლა როში
ბაზელ, შვეიცარია


ჩვენი მიზანია, მოსახლეობასა და სამედიცინო საზოგადოებას მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამოვლენის, პრევენციისა და მკურნალობის შესახებ.

თირკმელი და თირკმლების ქრონიკული უკმარისობა

1. ანატომია



თირკმელი წყვილი ორგანოა, რომლებიც განლაგებულია მუცლის ღრუს უკანა კედელზე, ხერხემლის ორივე მხარეს.



შარდგამომყოფი სისტემა შედგება თირკმლის მენჯის, ფიალების, შარდსაწვეთის, შარდის ბუშტისა და შარდსადენისაგან.




2. თირკმლის ფიზიოლოგია:

თირკმელი სისხლს ფილტრავს მასში არსებული ტოქსინებისაგან და არეგულირებს ორგანიზმში სითხის შემცველობას.




სისხლი თირკმელს მიეწოდება თირკმლის არტერიის მეშვეობით, რომელიც თანდათანობით იტოტება და საბოლოოდ წარმოქმნის კაპილარების გორგალს.




კაპილარების გორგალი უწვრილესს კლაკნილ და სწორ მილაკებთან ერთად ქმნის თირკმლის ფუნქციურ ერთეულს - ნეფრონს. გორგლის კაპილარების კედლები ნახევრად გამტარია, რაც უზრუნველყოფს წყლისა და მასში გახსნილი დაბალმოლეკულური ნივთიერებების ფილტრაციას და არ ატარებს სისხლში გახსნილ მაკრომოლეკულებს, მაგალითად ალბუმინს.



მილაკებში ხდება სისხლის გორგალში გავლის შედეგად მიღებული ულტრაფილტრატის რეაბსორბცია (უკუშეწოვა), ასევე მიმდინარეობს აუცილებელი მეტაბოლისტების, მაგალითად გლუკოზისა და ამინომჟავების სელექტიური რეაბსორბცია. მთელი რიგი კომპლექსური რთული პროცესების შედეგად ხდება შარდის წარმოქმნა, რომელიც თირკმლის მენჯ-ფიალებისა და შარდსაწვეთის გავლით საბოლოოდ გროვდება შარდის ბუშტში.



3. თირკმლების უკმარისობის მიზეზები




თირკმლების უკმარისობა არის სიმპტომო-კომპლექსთა ერთობლიობა, რომელიც განპირობებულია ნეფრონთა სიკვდილით ანუ შეუქცევადი პროცესით. ის შეიძლება ვითარდებოდეს თირკმლებს მრავალრიცხოვანი პირველადი ან მეორადი დაავადების შედეგად.




თირკმლების უკმარისობის მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც საკუთრივ თირკმლების დაავადებები, ასევე სხვა ორგანოებისა და სისტემების დაავადებებიც. მოზრდილებში თირკმლის უკმარისობის ყველაზე გავრცელებული მიზეზია გულ-სისხლძარღვთა და ენდოკრინული პათოლოგიები, ასევე უროლოგიური და ონკოლოგიური დაავადებები. თირკმლების ქრონიკული უკმარისობის უხშირესი მიზეზებია:

- ავთვისებიანი ჰიპერტენზია
- ათეროსკლეროზი
- შაქრიანი დიაბეტი
- გლომულურონეფრიტები (პირველადი და მეორადი ხასიათის)
- თირკმლების თანდაყოლილი დაავადებები
- საშარდე გზების ქრონიკული ანთებითი დაავადებები

4. თირკმლების ქრონიკული უკმარისობის თერაპია



სამწუხაროდ თირკმლების დაავადებების გარკვეული ნაწილი შეუქცევადი ხასიათისაა და გამოიყენება ტერმინი “თირკმლების ქრონიკული დაავადება” (თქდ). ხშირ შემთხვევაში თერაპიის ერთადერთ შედეგს წარმოადგენს თირკმლების უკმარისობის პროგრესირების შენელება, რაც ხორციელდება არტერიული წნევის დარეგულირებისა და დაბალცილოვანი დიეტის დაცვის გზით.




5. თირკმლების უკმარისობის გართულებები
5.1 ჰიპერტენზია და ჰიპერჰიდრატაცია



თირკმლების გამომყოფი ფუნქციის დარღვევა პირველ რიგში ვლინდება ჰიპერჰიდრატაციითა და ჰიპერტენზიით. ჰიპერჰიდრატაციის კლინიკური გამოვლენაა კოჭებისა და ტერფების შეშუპება, ასციტი, პერიკარდიტი, ასევე ფილტვების შეშუპება.




ჰიპერტენზია ზრდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების რისკს და ხელს უწყობს თირკმლის უკმარისობის პროგრესირებას. მსგავსი გართულებების თავიდან ასაცილებლად აუცილებებელია მუდმივი ანტიჰიპერტენზიული თერაპია და დიეტა – საკვებში სუფრის მარილის შეზღუდვა.



5.2 ოსტეოპათია

თირკმლების უკმარისობის დროს ირღვევა თირკმლების მიერ D ვიტამინის აქტიური ფორმის სინთეზი.




ეს უკანასკნელი კი აუცილებელია ორგანიზმისათვის სისხლში კალციუმის ნორმალური კონცენტრაციის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, თირკმლების უკმარისობის დროს ორგანიზმში ხდება ფოსფატების დაგროვება, რაც თავის მხრივ არაპირდაპირი გზით - ფარისებრახლო ჯირკვლის ჰორმონის გააქტივება - კიდევ უფრო ამცირებს სისხლში კალციუმის ნორმალურ შემცველობას. ყოველივე ამის შედეგად ვითარდება ძვლების სხვადასხვა სახის პათოლოგიები, რომლებიც “რენული ოსტეოპათიის” სახელწოდების ქვეშ არიან გაერთიანებული.



პრევენციული ღონისძიების მიზნით პაციენტებს ეძლევათ რეკომენდაცია, შეამცირონ ფოსფატებით მდიდარი საკვების მიღება. ასევე საჭირო ხდება მუდმივად ისეთი პრეპარატების მიღება რომლებიც ბოჭავენ ნაწლავებში ფოსფატებს და გამოდევნიან მათ ორგანიზმიდან სხვა ტოქსინებთან ერთად ე.წ. ფოსფორშემბოჭავები. ხშირ შემთხვევაში პაციენტებისათვის აუცილებელია D ვიტამინის მეტაბოლიტების მიღება.

5.3 ანემია

თირკმლებში გამომუშავდება ჰორმონი ერითროპოეტინი, რომელიც ძვლის ტვინის სისხლწარმოქმნელი ფუნქციის მასტიმულირებელია. თირკმლების უკმარისობის დროს მცირდება ერითროპოეტინის გამომუშავება, რაც იწვევს „რენული ანემიის“ განვითარებას. ანემიის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ ძლიერი დაღლილობა, საერთო სისუსტე და სხვ.



ანემიის კორექციისათვის პაციენტთათვის ნაჩვენებია ერითროპოეტინის დანიშვნა. ანემიის მკურნალობის კომპლექსურ თერაპიაში შედის რკინის პრეპარატებიც.



5.4 ქავილი

თირკმლების უკმარისობის ერთ-ერთი გამოვლენაა ქავილი. ზოგ შემთხვევაში ის კავშირშია მეორად ჰიპერპარათირეოზთან ან/და სისხლში კალციუმისა ფოსფატების მაღალ კონცენტრაციასთან.




მკურნალობის ძირითადი საშუალებაა სისხლის ურემიული ტოქსინებისგან წმენდა. ზოგ შემთხვევაში ნახვენებია ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მომქმედი პრეპარატების გამოყენება. მძიმე შემთხვევებში მიმართავენ კანის ულტრაიისფერი სხივებით ფიზიოთერაპიას.



5.5 ჰიპერქოლესტერინემია

თირკმლების ფუნქციის დაქვეითებასთან ერთად ხშირად სისხლში იმატებს ქოლესტერინის შემცველობა.



გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სისხლში ქოლესტერინის კონტროლი, მკაცრი დიეტა და ანტიქოლესტერინული პრეპარატებით მკურნალობა.




5.6 ნეიროპათია

თირკმლების ქრონიკული უკმარისობის შედეგად ორგანიზმში ურემიული ტოქსინების დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს პერიფერიული პოლინეიროპათია. ეს უკანასკნელი შემდეგი სიმპტომებით ვლინდება: კიდურების დაბუჟება, კუნთებში სისუსტის შეგრძნება და ზოგჯერ კუნთების ადგილობრივი ხასიათის კრუნჩხვითი მოვლენები.



5.7 რეპროდუქციული ფუნქციის დაქვეითება



თქუ დაავადებულ მამაკაცებში შეინიშნება ლიბიდოს დაქვეითება და ერექციული დისფუნქცია, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია ჰიპოგონადიზმით. ქალებში ჰიპოგონადიზმი ვლინდება საშვილოსნოს დისფუნქციური სისხლდენებით ან ამენორეით. თქდ ტერმინალური სტადიაში ირღვევა ორსულობის ნორმალური მიმდინარეობა, იზრდება ნაადრევის მშობიარობისა და აბორტების რისკი, ასევე ხშირია ნაყოფის განვითარების პათოლოგიები. აღსანიშნავია, რომ ქალებს თირკმლის წარმატებული ტრანსპლანტაციის შემდეგ აღენიშნებათ რეპროდუქციული ფუნქციის სრული აღდგენა.

6. დიეტა

თქდ დაავადებული პაციენტებისათვის აუცილებელია დანიშნული დიეტის მკაცრი დაცვა და ექიმთან მუდმივი კონსულტაცია. თქდ ადრეულ სტადიაზე ჩვეულებრივ რეკომენდებულია ცილებისა და სუფრის მარილის შეზღუდვა.



შორსწასულ სტადიებზე პაციენტებისათვის აუცილებელია დიეტის გამკაცრება: გარდა ზემოთ აღნიშნულისა იზღუდება ფოსფატებისა და კალიუმის შემცველი პროდუქტები.



ზემოაღნიშნული შეზღუდვების შედეგად პაციენტებში ხშირია მადის დაკარგვა და შეიძლება განვითარდეს კვების ნაკლოვანების ანუ ე.წ. მალნუტრიციის სინდრომი. აღნიშნული სინდრომის ადრეული გამოვლინების შემთხვევაში აუცილებელია პაციენტისათვის შემუშავებულ იქნას სპეციალური დიეტა, რომელიც უზრუნველყოფს მას ბალანსირებული კალორიული კვებითა და ვიტამინების აუცილებელი რაოდენობით.




Recormon®
Epoetin Beta



შეიგრებენით ახალი ენერჯია

- **რეკორმონის** გამოყენება თირკმლის ქრონიკული დაავადებების დროს ამცირებს ავადობას და სიკვდილობას
- **რეკორმონი** ჰემოგლობინის საშიზნე დონის ეფექტური კონტროლის საშუალებას იძლევა
- **რეკორმონის** აღრეული გამოყენება აუმჯობესებს ავადმყოფის ზოგად მდგომარეობას და ამცირებს კარდიოვასკულარული გართულების ალბათობას
- **რეკორმონი** მოხერხებულია მოხმარებისთვის. იგი გამოიყენება კანქვეშ კვირაში ერთხელ და შესაძლებელია თვით-გამოყენებულ იქნას პაციენტის მიერ
- **რეკორმონის** გამოშვების სხვადასხვა ფორმა (2000IU, 4000IU, 10000IU) და მზა ხსნარი შპრიცში ზრდის მისი გამოყენების კომფორტულობას
- **რეკორმონი** არ შეიცავს ალამინის შრატის ალუმინის, რაც ამცირებს მის იმუნოგენობას
- **რეკორმონი** მსოფლიოში ყველაზე ხშირად მოხმარებადი ეპოეტინი თირკმლის ქრონიკული დაავადებების დროს

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
 კოფან-ლა როვის ნარომადგენლოვა საქართველოში
 მიროტაძის ქ. 1
 ტელ.: 37 99 20, 38 92 99, ფაქსი: 37 46 21
 ელ.-ფოსტა: rochegeorgia@wanex.net



- კალციტრიოლის ანალოგი - D₃ ვიტამინის ყველაზე კლინიკური ფიზიოლოგიური მეტაბოლიტი;
- თირკმლისმიერი ოსტეოლისტროფინის დროს ზრდის კალციუმის და ფოსფორის შრატის კონცენტრაციას და ამცირებს ძვლის რეზორბაციას, რაც იწვევს მეორადი ჰიპერპარათირეოიდუმიზმის უკუბანვითარებას და ძვლოვან სისტემასთან დაკავშირებული პათოლოგიების შემცირებას;
- სტანდარტული D ვიტამინისგან განსხვავებით სარწმუნოდ ამცირებს მოტახილოგების რისკს ფართომასშტაბიან, ორმაგ - ბრმა, რანდომიზებულ, პლაცებო-კონტროლირებულ კვლევებში.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
ჰოფმან-ლა როეის ნარმომადგენლობა საქართველოში
მიროტაძის ქ. 1
ტელ.: 37 99 20, 38 92 99, ფაქსი: 37 46 21
ელ.-ფოსტა: rochegeorgia@wanex.net

